

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

ივერიის

რედაქცია:
სიკოლოძის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებთა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვი
გამავრც. საზოგადოების კანცელიარის.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე
16 კაპ. მეოთხეზე—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

გამოვიდა და ისეილება ყველა
წიგნის მადანობში
კალენდარი
საქართველოს
კალენდარი
1896 წ.
ფასი ათი შაური.
უმთავრესი საწყობი წერ. კითხვ.
გამავრცელ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში.
(10-8)

ქართული თეატრი.
პარასკევს 10 იანვარს, 1896 წ.
„ქართულ დრამატულ საზოგადოების“
დასასახან
წარმოდგენილი იქნება
ს ა ბ ე ე ფ ი ს ი ო დ
სუფლიორისა და სცენარისტისა

I
ფეხილია
დრამა 3 მოქმედ. თარგ. ვ. აბაშიძის მიერ.
II
მშვენიერი ელენეს მამიებელი
კომედია 2 მოქმედ. ავ. ცაგარლისა
მონაწილეობას ღებულობენ: საფა-
როვისა, ავალიშვილისა, ჩერქეზიშვი-
ლისა, მელიქიშვილისა, ჩხეიძისა და სხ-
ბ-ნნი აბაშიძე, ყოფიანი, ალექსი-მეს-
ხიშვილი, გუნია, სვიმონიძე, გედევა.

ფელეტონი
ქ ა ლ ა
(სახალწლო მოთხრობა)
„სად მზეა, იქაც ჩრდილია!
სადაც ღებნია შექცევა;
იქ იხმის მათხოვრებისა,
მშვირთა კენესა და გლოვა.
ნაღონი.“

დეკემბრის უკანასკნელი რიცხვები
იყო. სამაზრო სამმართველოში ჯერ
კიდევ გაცხარებული მუშაობა ჰქონ-
დათ მოხელეებს. „დღეს ვიძულებით,
დავთავებთ ქალაქის შედგენა-
გადაწერას და ხვალ-ხვალ-სადღე-
სასწაულო მოზადებას შევეუდგები-
თო“. ჰქვირობდნენ მდივანი, გადამ-
წერელი და სხვანი. მართლაც ამ
დღეს დამთავრებულა მთელი წლის
საქმე-მუშაობა, მოედებოდა ბოლო.
განა სასიამოვნო არ არის ორის
დღის გატარება ცოლ-შვილის გვერ-
დით, მოყვან-ნაცნობებთა შორის—
განსაკუთრებით იმ საცოდავ მოხე-
ლეთათვის, რომელნიც მთელი წლის
განმავლობაში ქალაქის გადაწერ-
ის მეტს არას აკეთებენ, უფრო-
სის შინა-მორჩილებით ცახცახებენ და
ოფლით აღებულ ორიოდ გროვით
ძლივ-ძლივობით ატარებენ დღეებს
ცოლ-შვილითურთ. ასეთს პირს მხო-
ლოდ ახალ წელს, აღდგომას და შო-
ბას შეუძლიან დაისვენოს და მიეცეს
სიამოვნებას. ამგვარი პატიოსანი მო-
ხელე ხარობს, სიამოვნებს მაშინ,
როდესაც თვისი შრომით აღებული

ნოვი, შათირიშვილი, ადამიძე, თამა-
შიშვილი, მჭედლიშვილი, კარბელი
და სხვ.
ადგალებას ფასი ჩვეულებრივია.
მოწაფეებისათვის ადგილები ლოქე-
ბის უკან 65 კაპ.
დასაწყისი სწორედ 8 საათზედ.
ოთხშაბათს, 17 იანვარს, დანიშნუ-
ლია ბენფისი ვ. გუნიასი*
რეჟისორი ვლ. ალექსი-მესხიშვილი

ტფილისი, 12 იანვარი.
ყველა, ვისაც-კი თვალ-ყური უღე-
ვნებია ჩვენის ცხოვრებისათვის,
ერთს მოვლენას შენიშნავდა. მესა-
მოცე წლებში, ამ ჩვენის ქვეყნის
განახლების ეპოქაში, ცხოვრება სდუ-
ლდა და გადმოსდულდა ცენტრში,
ჩვენს დედა ქალაქში და ქუთაისში-
აკ. ეხლა ხანს-კი ცხოვრება ფი-
ზიკურად უფრო პროვინციებში. თუ-
მცა-კი რიცხვით ცოტა, მაგრამ ნი-
კიერმა ახალგაზღვრებმა მე-60 ე წლებ-
ისამ ცხოვრების ბორბალი ისე მძლავ-
რად დატრიალა, რომ დღესაც იმა-
თივე წყალობით ვმოძრაობთ. დაარ-
სდა ეურნალ-გაზეთები, დაარსდა მრავ-
ალ გვარი საზოგადო დაწესებულებ-
ა, რომელიც დღემდისაც ერთად-
ერთს ჩვენს სამოქმედო ასპარეზს შე-
ადგენს. მესამოცე წლები ყველამ
კარგად იცის რა იყო რუსეთის

ფულით აკმაყოფილებს ოჯახის მოი-
ხონილებას, ჰხედავს სადღესასწაუ-
ლოდ შესაფერის სიღამაზით მორ-
თულს, ჩაცმულ-დახურულს ცოლ-
შვილს და დარწმუნებულია დღეს
არავის არ შიან და არც მოჰმოდე-
ბაო.
ყველა სასამართლო-სამმართველო-
ში იპოვით ასეთს პატიოსანს კაცს.
ის ყოველთვის ჩაფიქრებულია, ერთ-
გული მუშა და უფროსის მორჩილი.
ჩვენს სამაზრო სამმართველოშიაც
მსახურებდა ასეთი ვეჟატონი. ეს
გახლდათ ვასილ მორჩილაძე. ყველა
მოხელეებს უყვარდა, ყველას ერთ-
გულ ამხანაგად მიაჩნდა, თვით მაზ-
რის უფროსი დილით შემოვიდოდა
თუ არა, იმ წამსვე, (რასაკვირველია
მდივნის შემდეგ) პირველად ვასილს
ჩამოართმევდა ხელს. მდივნის თანა-
შემწის ადგილიც შეჰპირდნენ. ჯამა-
გირი სამ თუნამდე ეძლეოდა. ვასი-
ლი, მუდამ დაფიქრებული, იჯდა
მდივანის ოთახის მახლობლად, სწერ-
და ქალაქებს და მხოლოდ თორ-
მეტ საათზედ დაისვენებდა, ისიც ხუ-
თმეტი წუთით. ამ დროს ყველას შე-
ეძლო რამდენიმე წუთით საქმის და-
ტოვება, რადგან მაზრის უფროსი
საუზმეზედ წაჰპირდებოდა ხოლმე.
კედლის საათმა თორმეტჯერ დაჰ-
კრა. მაზრის უფროსი დეზების წკრი-
ალით გაემგზავრა საუზმის მისართმე-
ვად. მდივანი გამოვიდა საერთო და-
რბაზში და დაუწყა ბასი მოხელე-
ებს; ვასილიც მიემატა ამხანაგთა
გუნდს. იწყეს მასლათ—ოხუჯობა
და სიცილი.

ცხოვრებისათვის, ყველამ იცის რა
აღტაცებული და რა იმედებით მოცუ-
ლი იყო ის ხანა, რომელმაც ჩვენს უბა-
რულს ქვეყანასაც კვალს დააჩინა. მა-
რთალი რომ ვსთქვათ, ბევრი საიმედო
და აღსატაცებელი არა ჰქონდა რა
ჩვენს ახალგაზღვრებს მაშინ, რომ
სკეპტიციზმს და ცხარე კრიტიკას
ადგილი ჰქონდეს ხოლმე საერთო
გატაცების დროს. მე-60-ე წლებმა
ჩვენ ის დაგვანახა, რომ შეიძლება
ჩვენს მპყრობელ სახელმწიფოში დი-
დი რეფორმები მოხდეს, მაგრამ ჩვენ,
როგორც განაპირა ქვეყანას, ნასუფ-
რალიც-კი ძლივს გვევრდის ხოლმე...
მაგრამ ამას თავი დავანებოთ. ასე იყო
თუ ისე, ჩვენმა ახალგაზღვრებმა დიდი სუ-
ლიერი ძალი გამოიჩინა და მხედრე შეუ-
დგა ფიზიკის, მაგრამ დროებით მო-
დუნებულია და მიძინებულის ქარ-
თველის გაღვიძებას.
მას მერმე თითქმის ორმოცი წე-
ლიწადი გადის და რას ვხედავთ მას,
რომ ისეთი მოქმედი და ისეთი ნა-
ყოფიერი ინტელიგენცია ჩვენ აღარა
გვეყოლია. ყველაფერი, რაც გაკეთდა
ამ ოც-და-ათი წლის განმავლობაში,
სულ მათი ინიციატივა იყო. ამ უკა-
ნასწენს დროში ერთი-და-მოქ-
მედება იყო, მიმბაძველობითი, ანუ
უკეთა ვსთქვათ, ერთი-და-საქმე
იყო, მათის აზრების გან-
ხორციელება, მათი იდეებისათ-

— ვასილ, მაშ ვკეთებთ, აა? —
დაეკითხა მდივანი.
— მე, ივანე მიხაილოვიჩი, ჩვეულებ-
ბას ვერ მოვშლი. ყოველ ახალ წე-
ლიწადს ვდღესასწაულობ დღეობას,
ყოველთვის სიამოვნებით ვეგებები
წმ. ბასილის დღეს და მზათა ვარ ეს
საბედნიერო დღე გვატარო ისეთს
ძვირფასს ნაცნობებთან, როგორც
თქვენ ბრძანდებით...
— ვიცო, გულწრფელად წარმო-
თქმულია ეს სიტყვები, ვასილ, და
ამიტომაც გვიხარია ყველას შენთან,
შენს ოჯახში მოსვლა, ღიმილით წა-
ილაპარაკა მდივანმა.
— გამდლობთ, ბატონო... ნელის
ხმით მიუგო ვასილმა და წამოწითლ-
და.
— ვასილ მორჩილაძეს, როგორც თი-
თონ წარმოსთქვა ზემოდ, ჩვეულებად
ჰქონდა მიღებული თავის დღეობის
გარდახდა, არც სამწიფოდ მიაჩნდა;
შეძლებს-და გვარად ყველას პატივს
სცემდა, მოაღებდა და ნასიამოვნებ,
შეზარხოშებულს, ისტუმრებდა სახ-
ლისაკენ...
— ორი საათი სრულდებოდა, მაგრამ
მაზრის უფროსი კიდევ არსად სჩან-
და. ყველა მოხელეებს უყვირდათ,
ვერ გივრათ რას ნიშნავდა უფრო-
სის დავიანება. ერთმანეთს ეკითხე-
ბოდნენ—რაღა დაივიანა ნეტავ „ნა-
ჩაღნიკაო“. ამ კითხვაზედ პასუხის
მიცემა არც ერთს არ შეეძლო; თვით
მდივანაც-კი გაკვირვებული დასეირ-
ნობდა თავის ოთახში.
ამ დროს მოისმა დეზების წკრია
ლი. შემოვიდა დაღვრემილი მაზრის

ვის ხორცის შესხმა. ყველაზედ
უფრო ჩქარი სინათლეა, როგორც
ვიცით, მაგრამ იმასაც-კი სჭირია
რაიმე დრო ერთის ადგილიდამ მეო-
რედის მისაღწევად. რალა გასაკ-
ვირველია, თუ აზრს თავის განსახო-
რციელებლად დრო სჭირია და დი-
დი დროც, რადგან ათასი დაბრკო-
ლება წინ ხვდება, რომელიც ხელს
უშლის მის განვითარებას და გაძლიე-
რებას. აზრი, რასაკვირველია, უფ-
რო ადრე იქ მოდის სისრულეში, სა-
დაც პირველად დაიბადა. ამიტომაც
იყო, რომ ცხოვრება მესამოცე წლებ
რა-კი ამ ცხოვრების განმგრობი
აღარავინ გამოჩნდა, ჩვენის ახალგაზ-
ღვრების სიბეჩავის გამო, თითქმის
კიდევ ჩაქა. პროვინციებში ჩვე-
ნი მეთაურების ხმა უფრო გვიან
გაიგონეს. იქ სულ ეხლა შეიგნეს
ამ აზრების დიდი მნიშვნელობა და
ამიტომაც იქ ეხლა ცხოვრება უფ-
რო მკვირცხლია, უფრო ცხოვე-
ლია.
ახალი განმაცხოვრებელი ელე-
მენტი ჩვენს ინტელიგენციას დედა
ქალაქში აღარ გამოუჩნდა. უმეტე-
სობა დარჩა უფერული, ზნეობრი-
ვად და განებრივად სუსტი, ამიტო-
მაც ცხოვრებამ თავისი ელფერი და-
ჰკარგა. ბევრს მოუხდევს ეს
ასეთია ჩვენი დღევანდე-

უფროსი და ჩქარის ფეხის ნაბიჯით
გაემგზავრა კაბინეტისაკენ. შევიდა
კაბინეტში, ყველამ მუშაობა დაიწ-
ყო. დადგა სერთო სინამე. ისმოდა
მხოლოდ უფროსის ფეხის ხმა. უფ-
როსი ჩქარის ფეხის ნაბიჯით ბოლ-
თასა სცემდა კაბინეტში. ნახევარ სა-
ათის შემდეგ კაბინეტიდამ მოისმა—
„ივანე მიხაილოვიჩი“.
— ეხლავე, თქვენო ბრწყინვალეებავ,
მიაძახა აქედამ მდივანმა და გაექანა
უფროსისაკენ.
— მთელი ერთი საათი დარჩა „ივანე
მიხაილოვიჩი“ მაზრის უფროსთან.
რაზედ ლაპარაკობდნენ ვინ იცის...
მოხელეები ამბობდნენ ფულს, ე. ი.
ჯამაგირს გამოგვიტანს ყველასო,
უთუოდ ამიტომ დაივიანაო... მდი-
ვანიც გამოვიდა, თან გამოიტანა ქა-
ლადი. დაავლო ვასილის სტოლ-
ზედ და უკმაყოფილოდ წარმოსთქვა:
— მოლით, მოაწერეთ ბარემ ხე-
ლი...
ეს იყო მოხელეთა სია, სადაც
ყველას უნდა მოეწერათ ხელი, რომ
ჯამაგირი სრულიად მივიღეო. ყვე-
ლამ მოაწერა ხელი სამი წუთის გა-
ნმავლობაში. როდესაც მოხელენი
ხელს აწერდნენ—მაზრის უფროსი
ოთახის კარებიდან იცქირებოდა. და-
თავეს თუ არა ხელის მოწერა მწრაფლ
მიიშალა.
მდივანმა ისევ უფროსის ოთახში
შეიტანა ქალადი, ათი წუთის შე-
მდეგ გამოვიდა მაზრის უფროსი,
„მშვიდობითო“, დაუძახა ყველას და
წავიდა სახლში... შემდეგ მდივანიც
გამოემგზავრა უფროსის კაბინეტიდამ.

ლი მდგომარეობა და არაფე-
რი სანუგეშოა იგი, თუ მივი-
ღებთ მხედველობაში, რომ, როცა
პროვინციებში გამაცხოვრებელ ძა-
ლას ვეღარ მივაწვდნთ, მაშინ
იქაც ბურთი და მოედანი დარ-
ჩება კიდევ და კიდევ უაზრო
ქმნილებებს და ჩვენი დღეს გაღ-
ვიძებული პროვინცია ისევ მიიძი-
ნებს. შეიძლება ამგვარი ცხოვრების
ტალღათა ღელვა ძალიან პოეტური
იყოს, მაგრამ კარგის მომასწავებელი-
კი არ არის. ამიტომ საჭიროა დედა-
ქალაქის ინტელიგენცია აღიკურ-
ვოს ენერგიით, უკუაგდოს კაცის
გამათხსინებელი ფუქსაფატი და
უშინაარსო ცხოვრება და კარგად
მოიხმაროს ეს ძვირფასი მოვლენა—
ჩვენის პროვინციების გაღვიძება.
კიტა.

ახალი ამბავი

* * * დღეს ქართულ დრამატულ
საზოგადოების დასისაგან გაიმართება
წარმოდგენა სუფლიორისა და სცე-
ნარისტის საბენეფისოდ. ბბ. ვალუს-
ტოვი და თამაზიშვილი თითქმის ხუ-
თმეტი წელიწადია დაუღალავად და
პატიოსნად ემსახურებიან ქართულს
საკმარისი იყო ივანეს სახის დანახვა
იმის სულის მდგომარეობის გასაგე-
ბად. ისეთის თვლით გადახედა მო-
ხელეთ, რომელნიც სინარულით ელო-
დნენ ჯამაგირის მიღებას, რომ თი-
თქოს უნდოდა ეთქვა: „რა ვქნა, რა
ჩემი ბრალიაო!...“
— რა, ამბავი, ივანე მიხაილოვიჩი?
— დაეკითხა ერთი მოხელეთაგანი.
— არაფერი, დასწყევლოს ღმერ-
თმა, რალაც თავიამტკივდა,—მიუგო
ივანე მიხაილოვიჩმა.
— ჯამაგირი?—მოისმა რამდენიმე
ხმა.
— ჯამაგირს... ხვალ მიიღებთ...
თორმეტ საათზედ.
ყველანი უკმაყოფილონი წავიდ-
ნენ.
II
რას ლაპარაკობდნენ მაზრის უფ-
როსი და მდივანი კაბინეტში? რად
იყო დაღვრემილი „ნაჩაღნიკი“?
როდესაც საუზმის მისართმევად
წაბრძანდა მაზრის უფროსი სახლში,
აი რა სურათი დახვდა. უფროსის
ცოლი, კენინა ბაბო—ასე ეძახდნენ,
სამწიფო ცუდს გუნებაზედ იყო, სა-
უზმის მისართმევად ოთახიდან არც-
კი გამობრძანებულა; ლოგინზედ წა-
მოწოლილი იყო და ოცნებობდა.
კენინას ასეთმა ქცევამ მაზრის უფ-
როსსაც დაუარგა მადა, არც ბა-
ტონს მიუერთებია საუზმე. თავადის-
თვის სასურველი იყო გაეგო მიზე-
ზი, რად მოიქცა აგრე კენინა ბაბო.
მწრაფლ მიაწება თავი საუზმეს და
წავიდა კენინასთან.
— კენინა, რას ნიშნავს ყოვე-

სცენას და საზოგადოების მოვლევით და ღირსეულად დააჯილდოვოს მათი სასარგებლო შრომა. იმედია ქართველი საზოგადოება ბლომად დაესწრება ამ ბენეფისს, მით უმეტეს, რომ წარმოდგენაში მონაწილეობას იღებენ უკეთესნი ჩვენნი არტისტნი.

წარმოდგენილი იქნება დრამა „შეშლილი“ და კომედია „მშვენიერი ელენეს მძიბებელი“.

14 იანვარს ქ. ბათუმში გამართულ იქნება „ქართული საღამო“ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ადგილობრივის სკოლის სასარგებლოდ.

იმავ დღეს მოსკოვშიც ქართველი სტუდენტები გამართვენ ჩვეულებრივს „საღამოს“.

სამიწათ-მოქმედო და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ 7,620 მან. გადასდო საქარის ვაზების სამყობის უკეთესად მოსაწყობად. ხსენებულს სამყობაში იქმნება სულ ხუთი კაცი ერთი გამგე და ოთხი ასისტენტი; გამგეს ექმნება ჯამაგირი 2,900 მან., ხოლო დანარჩენი 4,720 მან. განაწილებულ იქნება ოთხ ასისტენტს შორის.

შუამდგომლობა სუბუშის მხარის ერთი მემამულისა და სუბუშის სამეურნეო სადგურისა იმის შესახებ, რომ მათთვის საფრანგეთიდან ამერიკის ვაზი გამოეწერათ, სამიწათ-მოქმედო სამინისტროს არ შეუწყნარებია იმ მიზეზით, რომ შეიძლება იქიდან ვაზს თან ფილოქსერა გადმოჰყვას.

დღეს, პარასკევს, 12 იანვარს, კავკასიის სამხრეთ-აღმოსავლეთი საზოგადოების სადგომში დანიშნულია ამ საზოგადოების წევრთა კრება; კრებაზე ბნი ზავაროვი განაგრძობს თავის მოხსენებას „რა

ლივე ეს?!—გაკვირვებით დაეკითხა ცოლს თავადი.

— არაფერს, — მიუგო ნაღვლიანად კნინამ.

— საკვირველია შენი საქმე! როდესაც გეკითხებიან — პასუხის მიცემა არ უნდა დაიხარო ხოლმე... სთქვი, რა მოხდა?

— არაფერი-მეთქი...

— არ მგერა. უმიზეზოთ შენ საუბრის არ დასტოვებდი.

— არაფერი. ხომ გეუბნები.

— ჰმ...

— გიკვირს განა! რასაკვირველია, თქვენ არაფერი არ უნდა გაგიკვირდეთ, მხოლოდ მე დამრჩენია ჩემდა სავალალოდ გაკვირვება, წუხილიც, თავის მოტყუილება და ყველაფერი... — რა ამბავია, სთქვი, გამაგებინე... ნელის ხმით დაეკითხა კვლავ მასრის უფროსი და მიუგოდა იქვე გვერდით.

— რად მომატყუილე?

— როდის?! გაკვირვებით დაეკითხა თავადი.

— რატომ არ მკითხავ. სად არის ჩემი კაბა ან ძვირფასი სამაჯური, რომელზედაც ორი კვირის განმავლობაში ლაპარაკი გვაქვს.

— კაბას ხომ აკერებინებ და სამაჯურიც წამოაღებინე...

— ვაკერებინებ-კი არა — შეკერილიც გახლავს, მაგრამ წამოაღება არა გასურთ.

— შეუთვალე და გამოგზავნიან, — სიამაყით წარმოსთქვა თავადმა.

— შეუთვალე და გამოგზავნიან? — მეც მაგრე მეგონა, მაგრამ მოტყუედი ამ ორი წლის განმავლობაში

ეკონომიური და სამეურნეო მიზეზები იმისი, რომ ყარსის მხარესა და ერევნის გუბერნიაში მოუსავლიანობაა“.

16 იანვარს, სამშაბათს, ამავ საზოგადოებას დანიშნული აქვს მორიგი სხდომა, რომელზედაც განიხილვენ მიმდინარე საქმეებს.

როგორც ვახეთი „ტფ. ფურც.“-ი სწერს, სახელმწიფო ქონებათა ტფილისის გამგეობას გარდაუწყვეტია გორის საქალაქო სკოლას სამეურნეო სამუშაოთათვის დაუთმოს ათი დესეტინა იმ სახელმწიფო ადგილისა, რომელიც საარტილერიო ბრიგადისა აქვს მიცემული ქ. გორის მახლობლად.

უცხოეთელმა ხილით მოვაკრებმა და ვარშაველმა ტრანსპორტირებმა მოლაპარაკება დაიწყეს რუსეთისა და უცხოეთის რკინის გზათა გამგეობებთან შემოიღონ საკუთრად ხილის გადასაზიდ-გადმოსაზიდად ისეთი ვაგონები, რომლებსაც უნდა ჰქონდეთ ისეთი მოწყობილობა, რომ არც ჰაერის სიცივემ წაახდინოს ხილი და არც თუ ჩახურდეს. რკინის გზათა გამგეობათ თანხმობა განუცხადებიათ და მალე შეუდგებიან კიდევ ასეთის ვაგონების კეთებასა.

როგორც ერთს ადგილობრივს რუსულს ვახეთის ატყობინებენ დეპუტით ბაქოად, შავს ქალაქში, ნავთვით სახლში, ნავთის ქვაბი აფეთქებულა და 7 კაცი უმსხვერპლია აფეთქების დროს ამ სახლის ერთ-ერთს ოთახში 8 სული აღმოიპოვებია, ამოთვან 4 ქალი, ერთი კაცი და სამი ბავშვი. ყველა ესენი ტამბოვის გუბერნიიდან იყვნენო. როგორც ამბობენ, მიზეზი აფეთქებისა ის ყოფილა, რომ ქვაბი კარგად არა ყოფილა გაკეთებული. საავად-

მდგომარეობაში ჩავარდნილი როგორ არ უნდა დაღვრემილიყო. ეს ერთი საშუალოა. მეორე — ახალგაზრდა ცოლი, ვან იცის რა გზას დაადგება, როდესაც გაიგებს, რომ მისი ქმარი 47 წლისა (ცოლი 20 წლის იყო), გარეგნობით არაფრად მოსაწონი — ჯიბე ცალიერი და ნღობა დაკარგული ყოფილა. ვინ იცის რა გვარი ქარი გაიტაცებს ასეთ დასკვნამდის მისულს ახალგაზრდა ქალს. აი, ასეთ ორგვარ ფიქრებს ყავდა დამონებული კაბინეტში მოსიერნი მასრის უფროსნი. რა ექნა აღარ ცოლად. ფიქრობდა, უნდა რაიმე ღონისძიება, საშუალება მოეძებნა, მაგრამ ყველა ცდა და ფიქრი ამაო იყო. ეს დრო იყო, როდესაც მდივანს დაუძახა.

— დაბრძანდით, ამ სიტყვებით მიმართა მასრის უფროსმა ახლად შემოსულ მდივანს.

მდივანი ჩამოჯდა იქვე კარებთან სკამზე და მოელოდა განაჩენს თავადისას. თავადმა კარები მაგრად მიხურა, გაიარ-გამოიარა, რავდენჯერმე გადახედა მდივანს, ბოლოს უკბაღ შეჩერდა და ივან მხიბილოვის პირდაპირ დაეკითხა.

— ივან მხიბილოვი, შეგიძლიანთ დამეხმაროთ?

— თუ ჩემს ძალ-ღონეს შეუძლიან რაიმე სარგებლობის მოტანა, დიდის სიამოვნებით.

— მაშ, კარგი, გამოგონეთ.

თავადი მოუგდა გვერდით მდივანს, თითქოს დიდი ხნის მეგობარი ყოფილიყოს. დაუწყო ტბილად სხვადასხვა საგნებზედ ლაპარაკი, ბოლოს

დაეკე ესე ჩაიფლავს წყალს მისცეს. ამ რამდენასმე წყალს წინად, სხვებზედ მდინარეზე სიდა გააკეთეს, მაგრამ ისევე გაფუჭდა. დღეს-კი ამასუდ აჩვენა ზრუნავს და ამიტომ ახალ-სენაკადმე ზუგადადამდე მიმოსვლა ერთობ გამწვანებულა, შეტადრე წვიმების დროს, რის გამოც სმარად ადამიანსა და საქონელს მდინარის ტალღები შთანთქავს ხალხე. წარსულსა თთვის შუა რიცხვებში ახალ-სენაკადმე ზუგადადამდე მიმოსვლა ომნი-ბუსი მოატყავს წყალმა და სხმი ცხენი დაიწრა. მადლობა დეკთოს, რომ ომნი-ბუსში მარტო მკეტლე აჯდა. საბრალო მკეტლე კი რის გაა-გაგლახათ გამოათრეს მდინარადმე თაკებათ.

ამგვარი ამბები აქ სმირია, უფრო ადამიანისა, და გაკვირვებს, დეკთოსანი, რისთვის და რატომ უურადდებს არ აქტეებს, ვისგანაც ჯერ არს?! — აქტობრის შუა რიცხვებში მკეტლე-დეპუტი აქტო განწყვეტილი წვიმება იყო. უკანასკნელს რიცხვებში მრადიდა სობის წყალი და ერთობ წააგება მინდვრებში ჰინახსული. ზოგაერთი თითქმის ცალკე-ტარებელი დასახლებულს წყალს საჩინად. ზოგაერთი დასახლებულად დასტოვა დაუნდაბედა მდინარეში...

ამ იხვარში ჯერ-ჯერობით გვარანა დაგება სდგას, მაგრამ სიცივეში სკამაა. დადა ენებება-კი ჯერ თვალითაც არ გვინახავს...

ტელეფონი.

7 იან. 1896 წ.

მივიწყებული სოფლები ტფილისის მხარეში.

ასეთის სათაურის ამოკითხვის შემდეგ ბევრი მკითხველი ვიცი რაღაც უკმაყოფილო განცვიფრებაში მოვა და თავის-თავს დაეკითხება: „როგორ თუ მივიწყებული სოფლები? რას კი თავის საჭიროებაზედ გადავიდა.“

— დიად, აგრეა მოწყობილი აღამიანის ცხოვრება, რას იხამ... რაც უნდა იწვალა, რაც უნდა გააკეთო მინც შენდა საკეთილდღეოდ არა დაგარჩება. აი, ამ გვარია ჩემი მდგომარეობაც... უთუოდ უნდა დამეხმარო, გეგმა დიდი ხანია შევადგინე, ოღონდ ასრულება, განხორციელება შენ შეგიძლიან.

— ბრძანეთ, ბატონო.

— ამ თთვის ჯამაგირს სრულად ვერავის ვერ მიცემ. დავიტოვებ ნახევარს, ან მეტსაც, თუ შესაძლისი იქნა. შენ-კი სრულად მიიღებ.

— ეს... როგორ უნდა მოხერხდეს, თქვენო ბრწყინვალეობავ, არ ვიცი... მე იმედი არა მაქვს.

— რა იმედი. ძლიერ ადვილი საქმეა... სია ჩვეულებრივად შეადგინეთ, მოაწერინეთ ყველას ხელი, და მერმე-კი მე ვიცი...

— თქვენო ბრწყინვალეობავ, ეხლა ისეთი დრო არის, — ყველას სადღესასწაულად მომზადება უნდა, ყველას არა თუ ჩვეულებრივი, მეტი ფული სჭირიან.

ცოლი, ოჯახი, შვილი, სტუმარი და სხვა. ჩემის აზრით, თქვენო ბრწყინვალეობავ, ეს შეუძლებელია...

მასრის უფროსი წამოგდა ზეზე, დაიწყო ისევ თავისებურად თავჩაკიდული სიერობა. ხუთი წუთის განმავლობაში არა უთქვამს რა.

— არა, სხვა გზა არ არის... მხოლოდ ერთად ერთი საშუალება ეს არის ჩემთვის, — წარმოსთქვა გადაწყვეტით თავადმა.

— მე კიდევ განვიმეორებ, თქვენო ბრწყინვალეობავ, — ეს შეუძლებელია და რომც ავასრულოთ საცოდელობა იქნება.

— კმარა. უთუოდ უნდა აასრულოთ ჩემი წინადადება; შეადგინეთ სია და ეხლავ ხელი მოაწერინეთ.

— თქვენო ბრწყინვალეობავ... — კმარა მეთქი, — გააწყვეტინა სიტყვა მდივანს. ეს აასრულო, სამაგიეროდ შენს დაწყებულს საქმეს საუცხოვო მსგელოებას მივცემ. დღევანდლამდის ვყოყმანობდი, მაგრამ აწი, გაძლევ სიტყვას, ავისრულე თხოვნას.

— ძალიან კარგი, მაგრამ... — მაგრამ... საქმეს შევუდგეთ. შეადგინეთ სია.

— სია შედგენილი გახლავთ, — მაშ, წაიღე, მოაწერინე ხელი. მდივანმა აიღო ქალაღი, მაგრამ გასვლა ვერ გაებუნდა.

— რალას ყოყმანობ? მოაწერინეთ ხელი და თქვენი საქმე ჩემს კისერზედ იყოს... აბა...

მდივანმა გააქნა ხელი, გააღო კარები, გავიდა საერთო დარბაზში და მიმართა მოხელეებს:

— მოდით, მოაწერეთ ბარემ ხელი...

როგორც პირველ თავიდან ვაიგეთ, ყველამ ხელი მოაწერა, მაგრამ ფულს მეორე დღეს ელოდნენ.

გახარებული მასრის უფროსი, სურვილის შესრულების შემდეგ მსწრაფლ გაექნა კნინასკენ დასამშვიდებლად.

მალ. ბოლქვაძე.
(დასასრული იქნება).



ნად ამას მოითხოვს ოჯახის საჭიროება. საზოგადოებრივი მოვლა-მარეობა ამ სოფლებში არ არის დამყარებული და გულ-საკლავი. რომ ამ ნივთიერ მდგომარეობასთან შეფარდებულ-შეხამებული იყოს განებრივი მდგომარეობა, ესე იგი, განათლება, მაშინვე სოფლებშიც საპატრიარქოს დაიჭერდა საქართველოს საეკლესიო სოფელთა შორის. მაგრამ, საუბედუროდ როდესაც ამ სოფლებს განათლების მხრივ უკვირდები და დაახლოვებით გაიკნობთ მათ საზოგადოებრივ, ადამიანურ ცხოვრებასა, გული გიკვდება და გიწყურდება თითქმის ყოველივე მომავლის იმედს კარგავთ და თუ იობის მოთმინება არა გაქვთ სასოწარკვეთილება-კი მოგიკავთ. მართლაც და როგორ გული არ უნდა მოუკვდეს მამულის მოყვარულსა და მოტრფილვე ადამიანს, როდესაც ჰხედავს, რომ აგერ მეცხრამეტე საუკუნე, საუკუნე სწავლისა და განათლებისა, მიიწურა და მეოცე საუკუნე მოგადგა კარგზედ, მისი მოძვე ქართველები-კი თავისი ეროვნული ცხოვრებით და განვითარებით და საშუალო საუკუნოების ყოფა-ცხოვრებას-კი არ გასცილებია. ყველა დაგვეთანხმება, რომ უტყუარი ნიშანი ხალხის განებრივად გამოფხიზლებისა და მისი ამ მხრით მდგომარეობის გამაუმჯობესებელი არის სკოლა. თუ ხალხს სკოლა აქვს, მაშინ ის განათლების გზაზედ არის დაშვებული. ზემოდ დასახელებულ სოფლებს-კი აქამდის სკოლის დაარსება სიზმრად-კი არ მოუფიქრებიათ. ეს დაწესებულება ამ სოფლებისთვის უცნობი ხილია. მთელი საზოგადოება რომ შემოიაროს, ერთს წერა-კითხვის მკოდნე გლახს ვერ აპოვნენ ვერც ახლებში და ვერც ძველებში; აბა გაზეთის და წიგნის ნაფლეთებსაც ხომ ვერ ნახავთ ტფილისში ჩამოსვლამდე. აქაური გლეხების ცხოვრება მხოლოდ მარტო პირუტყვულ სმა-ჰამაში და განუწყვეტელს პირუტყვულს შრომაში იხატება. არავითარი უმაღლესი მოთხოვნილება მათ არ აქვთ. ყოველივე საუკეთესო მისწრაფება და ადამიანური გრძობა მათში ჩამქრალია და დასშულა. არაფერი ისეთი რომ საზოგადო დაწესებულება არ მოეპოვებათ, რომელიც მათ განათლებისადმი მისწრაფებას გვიჩვენებდეს.

რასაკვირველია ამაში დიდი ბრალი ედება მასაც, ვინც ზნეობრივად მოვალეა აუხსნას ხალხს სწავლის მნიშვნელობა, შთააგონოს მისი დიდი სარგებლობა კერძოდ და საზოგადოდ, დააყენოს თვისი სამწყსო ჰემარტის ცხოვრების გზაზედ, მას, ვინც უდიდესის მოძღვრის სიტყვით უნდა იყოს „ლამპარი და მარტილი ქვეყანა“.

აქაური გლეხები კვირა-უქმე დღეებში დიდს ემყოფილებით მიდიან სამიკიტნოში და მთელს დღეს იქ ატარებენ უსარგებლოდ. თუ ორიოდ გროში მოეძევა იმასაც მიკიტნის უძირო ჯიბეს ჰმატებს. ამის შემხედვარე ახალგაზრდობაც, რასაკვირველია, ირყენება ზნეობითა და გონებით.

საკაზეთო წერილში შეუძლებელია გავაცნო მკითხველს ყოველივე ბნელი კუნძული ამ სოფლების ცხოვრებისა. რაც ვსთქვით, მგონი, ისიც საკმაოა, რომ მკითხველმა წარმოიდგინოს ის მდგომარეობა, რომელში-

აც ეს სოფლები იმყოფებიან. ასეთს ბედში ჩავარდნილს გლეხობას დღეს მოვლინებია კერძო პირები, რომელთაც უკისრიათ სკოლის დაარსება თავიანთ საკუთარს ხარჯზედ. ეს პირნი არიან: ახალგაზრდა თავადნი ქმანი იოს. და ვლად. ბარათაშვილები და ქ. მ. ზავრიშვილისა. ამ პატრიარქის პირთ აუღიანთ მთავრობისაგან სკოლის გახსნის ნება, დაუქირავებით ახალგაზრდა მასწავლებელი და ცდილან სწავლის დაწყებას. მათ ცდასაც უბრალოდ არ ჩაუვლია. თერთმეტ დეკემბერს დაიწყო სწავლა ახალ დაარსებულ სკოლაში ს. ბარბალოში. ჯერ-ჯერობით მხოლოდ ხუთმეტი ბავშვი მოიყვანეს, მაგრამ შემდეგში იმედია მათი რიცხვი იმატებს. ამას გარდა თავად იოს. ბარათაშვილს აღუთქვამს სოფლისათვის რამდენიმე დესეტინა მიწის შეწირვა სკოლის სასარგებლოდ. დიდი რომ დიდის მადლობის და თანაგრძობის ღირსნი არიან ეს პატრიარქის პირნი და მათი მაგალითი მიბაძვის ღირსი არის ყოველივე სამშობლოსათვის კეთილის მოსურნე პირისათვის.

მაგრამ მარტო კერძო ინიციატივა არ კმარა ასეთ რთულ საქმეში. ამ სოფლების ასეთ მდგომარეობას ყურადღება უნდა მიაქციოს წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ და დახმარება უნდა აღმოუჩინოს ამ სკოლას.

დომ. ასკანელი.

1895 წ. 13 დეკემბერს.

უცხოეთი

საზრანბეთი. მადლობა ღმერთს, რომ საფრანგეთისა და გერმანიის აზრთა წარმომადგენელთა შორის ამ უკანასკნელს დროს თანხმობა ჩამოვარდა. ამ 10—15 წლის წინადაკე მეტწილად და ფილოსოფოსნიც ისეთ სიმწვავეს იჩენდნენ ურთიერთ შორის განწყობილებაში, თითქო უბრალო მომავლად იყავილიყვნენ. დიდი ხანი არ არის მას აქეთ, ვირხოვსა და პრაფ. ბერინგს ფრანგებმა დიდი პატივისცემა აღმოუჩინეს. ესლა კიდევ „ზნეობრივისა და პოლიტიკურის მეცნიერების“ აკადემიამ აღიზნა თავისს წევრ-კორესპონდენტად ვილჰელმ ვუნდტი, გამოჩენილი ფილოსოფოსი და ფსიხოლოგი, რომელმაც დიპტერიტის წინააღმდეგ გამოსცემნა საშუალება.

არა ერთხელ დაბადებულა ევროპის განათლებულ საზოგადოებაში აზრი ისეთის ორგანიზაციის გამოცემისა, რომელიც მთელი ევროპის აზრთა მიმდინარეობის გამოხატველი იყოს. ერთი მაგვარი ორგანიზაცია „რევიუ ინტერნაციონალი“ უკვე არსებობს ფლორენციაში, გუბერნატისის გამოცემა, მაგრამ ცოტა არ იყოს სუსტია. ესლა წიგნების გამომცემელს ორტმანს ლონდონსა და ბერლინში გამოუცია პირველი ნომერი ასეთის ჟურნალისა და პირველი ნომერი, როგორც გაზეთები გვატყობინებენ, ძალიან საინტერესო არის. ჟურნალს ეწოდება „კოსმოპოლისი“ (უთუოდ ბურჟუაზი რომანიდამ უსესხებიათ ეს სათაური). ჟურნალი გამოდის ინგლისურსა, ფრანგულსა და გერმანულ ენაზე. ყოველი განყოფილება შეიცავს საპოლიტიკო, სალიტერატურა

და სათეატრო ქრონიკას. ყოველ ქრონიკის შედგენა მინდობილი აქვს რომელსამე გამოჩენილ მწერალს. მაგალითად ფრანგულს განყოფილებაში სათეატრო ქრონიკებს დასწერს ხოლმე ცნობილი ფრანგული კრიტიკოსი ლემეტრი. ინგლისურს განყოფილებაში საპოლიტიკო ქრონიკა ეკუთვნის ჩალზ დილკს. გერმანულში პირველს ნომერში გამოჩენილი ისტორიკოსის მომსენის წერილი სიკვდილით დასჯის შესახებ რომში. ფრანგულს განყოფილებაში არის პატარა მოთხრობა პოლ ბურჟესი და ანატოლ ფრანსისა, წერილი როდისა, ფრანკისკ სერსეს ეტიუდი დიუმა-შვილზე. ამავე ნომერში ოტელოს გარჩევა ბრანდისისა.

ცნობილის ფრანგულ წიგნების გამომცემელის კალმან ლევის ქვრივს უყვინია რენანის მემკვიდრეებისაგან მისი შესანიშნავი ბიბლიოთეკა, რომელიც თურმე უნდა შესწიროს პარისის ნაციონალურ წიგნთ-საცავს. რენანის ბიბლიოთეკა შესდგება 5,516 წიგნისაგან და ორის განყოფილებად: პირველი (2,875) სულ ყველა დაბადების შესახებია და დანარჩენი სხვა-და-სხვა ნაწერებშია შესდგება.

ემილ ზოლამ, შესანიშნავმა რომანისტმა, განაცხადა სურვილი დიუმის მაგიერად იქმნეს ამორჩეული აკადემიაში.

ინგლისი. წინედ ჩვენ მოვიხსენიეთ ბალფურის სიტყვა, გლასგოვში წარმოთქმული რომელშიაც ხაზინის კანცლერმა გამოსთქვა იმედი, რომ ინგლისის ყველა ნაწილები შეერთდებიან გარეშე მტრის წინააღმდეგ. წინა დღეებში ირლანდიაში, მრავალი სიტყვა წარმოითქვა და სულ სხვა აზრები იყო გატარებული ამ სიტყვებში, მაგ. ჯონ რედმონდმა შემდეგი სიტყვა წარმოთქვა: „ცუდი ახალი წელი უდგება ინგლისს, საშინელს ვასაქირშია ჩავარდნილი და ამ წლისგან უნდა მოელოდეს მხოლოდ ხიფათსა და ომს! (ხმაურა ბაა) მადლობა ღმერთს! ღმერთმა ქნას აღსრულებინოს ამ წელიწადს ის, რასაც გვპირდება. ინგლისმა უარ ჰყო ჰომოლო, მან არ ჩამოართვა ირლანდიის სამეგობროდ გაწვდილი ხელი. ესლა მთელს ცის ქვეშეთში ერთი გულწრფელი მეგობარი აღრ მოეძებნა. აფრიკაში უკვე დაამარცხეს (გაუმარჯოს ბოერებს!) იძახის ხალხი). გერმანიის წარმომადგენელმა, იმპერატორმა ლადამი ჩაჰკრა და გასწყვიტა მასთან სამეგობრო კავშირი. ინგლისის არსებობა, მისი ბედი და ილბალი მისს სახელზე—პრესტრუზე არის დამყარებული. ამ უკანასკნელ 50 დღის განმავლობაში-კი ინგლისის სახელი დიდად დამცირდა (აღტაცებული ხმები). მე იმიტომ-კი არ მოვსულვარ აქ, რომ გამოვთქვა ჩემი სიამოვნება ინგლისის დამარცხების გამო ან გაგვიხაროთ ჩემი აღტაცება, იმის გამო, რომ ინგლისი საშიშარსა და სახიფათო მდგომარეობაშია, (აღდე დაიღუბოს“ ვაისმის ხალხში. ამაზედ ასტყდება აღტაცებული ტამის-ცემა), არა, მე მსურს მხოლოდ დაგანხვოთ ეხლანდელი ვარემოებები და გაგანსენოთ, რომ ჩვენი ვალდებულება დავიფიქყოთ შინაური უსიამოვნება

და შევერთდეთ ერთად, იმიტომ, რომ შეიძლება ახლო იყოს ის დრო, როცა შეგვეძლება ნაკუწ-ნაკუწად დავგლიჯოთ და წყვეტილი ხელ-შეკრულობა, რომელიც ინგლისთან გვაერთებს. (აღტაცებული ტამის-ცემა).

იტალია. რომიდან დღემით იუწყებიან: გაზეთი „სერატიკო“ იუწყება, რომ სამხედრო მინისტრს მოჩენის განზარაბა აქვს სამსახურს თავი დაანებოს, რადგანაც ოფიციალური პრესისა გენერალს ბარატერს მეტადა სდევნისო.

იტალია მილიტარე ამბობს, რომ მაკალე დიდხანს ვერ გამაგრდება, რადგანაც აბესინელებს მუდამ ეპას შეუძლიანთ ქალაქი უწყლოდ დასტოვონო. გაზეთი ჰკიცხავს მინისტრებს კრისპანსა და ბლანკს, რომლებმაც უარი სთქვეს აფრიკაში მიმშველი ჯარი გაეგზავნათ.

„ოპინიონე“ გადმოგვცემს შინაარსს იმ დღეებისა, რომელიც კრისპანი ბარატერს გაუგზავნა. ჩემის აზრით, —სწერს დღეშეშე, —ამბები, რომლებიც თქვენ მოგდით, ყოველს სიმართლეს მოკლებულნი და ერთი მეორის წინააღმდეგნი უნდა იყვნენო. ფრთხილად იყავით. საქმე თქვენსა და თქვენის ქვეყნის სახელს შეეხება. თქვენ რომ ერთხელ დასამუდამოდ გამოგერკვიათ საქმეთა გარემოება, ჩვენ იქნება აღარც დაგვიკრებოდა მომშველი ჯარის გამოგზავნა“. გენერალმა ბარატერმა უპასუხა, რომ მე სტრატეგიულ მოსაზრებათა გამო 10,000 ჯარის-კაცის მეტის მოთხოვნა არ შემიძლოა.

შურალ-გაზეთებიდან და წიგნებიდან

ამოკრებილი ამბები.

— ინგლისეცა მთავარი სწეულებაა და აქამდე ისე ვგონათ, რომ ეს სწეულება ჰაერიდან წარმოსდგება. თუმცა ბევრნი ამას ამტკიცებენ, მაგრამ ესეც შეუნიშნავთ, რომ ერთის ადგილიდან მეორეში მარტო კაცს გადააქვს ეს სენი. ინგლისეცა გაძლიერდა ევროპაში 1889 და 1890 წ. და როგორც სჩანდა, პირველში პეტერბურგს და მოსკოვში განდა, აქედამ მალე გადავიდა ოდესსას ვარშავას, სტოკჰოლმს და ერობზე ყოველ იმ ქალაქებს, რომელთაც ხშირი მისვლამოსვლა აქვთ პეტერბურგთან და მოსკოვთან. ამის შემდეგ ერთი კვირაც არ გასულა, რომ ბერლინსა და პარისში გადავიდა მაშინ, როდესაც სტოკჰოლმიდან (დედა ქალაქია შვედისა) ქრისტიანებამდე (დედა-ქალაქია ნორვეგიისა) მთელი ერთი თვე მოუწდა. ამას იმიტი ხსნიან, რომ პეტერბურგს, პარიუს და ბერლინს მუდამი და გაუწყვეტელი მისვლა-მოსვლა აქვთ ერთმანეთში და სტოკჰოლმს და ქრისტიანეს-კი ერთმანეთისაგან ჰყოფს მთის ზღვა. პირველ შემხედვით ადამიანს ჰგონია, რომ უპირველესი გზა ამ სენის გავრცელებისათვის ჰგონია, მაგრამ პროფესორი ბუშარი ამტკიცებს, რომ რაც კაცთა სავალგზას უნდებოდა, იმ დროზე ადრე იგი სენი ერთს ადგილიდან მეორეში არ გადასულა. როცა სენი ერთს ქალაქში გაჩენილა, აქედამ იქ გადასულა, საცა რკინის გზა თურმე უკანასკნელად ჩერდება, მაგალითებურ, პეტერბურგიდან მოსკოვს, პარისს, ანუ ბერლინში და მხოლოდ რამდენსამე ხანს შემდეგ ამით შუაარსებულ ადგილებშია გავრცელებული. აქედამ ის დასკვნა გამოჰყავთ, რომ კაცისაგან კაცს ეყრება თურმე ის წყველი ინგლისეცა და კაცს გადააქვს ერთის ადგილიდან მეორეში. ყველანი, ვისაც ამ სენისათვის თვალის უღვიწხობა, ამტკიცებენ, რომ არსად ინგლისეცა თავის თავად არ გაჩენილა უიმიოდ, რომ კაცი არ მოსულიყოს ინგლისეცით მოღებულ ადგილიდან. „ფრანკონიონში“ ამბობს გროსეს, არც ერთი არა ყოფილა ინგლისეცით ავად-მყოფი იმ დრომდე, ვიდრე პარი-

სიდან არ მოვიდა ამით სწეული ერთი ქალიო“. ამ ქალს უსადილნი სხვა ათს კაცთან ერთად, ხუთს ამათგანს ინგლისეცა შეპყრო და ერთი ამ ხუთთაგანი სოფელში წასულა და თან მიუტანია ეს სენი. იგი სოფელი მინამდე საღი და საღსალამათი ყოფილა. (გ. ი. ლ.)

— რაკი გადამდებ და მთავრულ პირზე ჩამოვადგეთ ლაპარაკი, ბარემ ზოგიერთი ცნობა სხვა ამგვარს სწეულებზედაც ვიუწყეთ.

ყვავილი, როგორც სჩანს, არა სცოდნიათ არც ბერინგებს, არც რომაელებს, ხოლო ზოგიერთი საბუთია ვიგულისხმობთ, რომ ჩინეთსა და ინდოეთში უსწავარ დროსაც ყოფილა. ამ სენს იხსენიებენ მწერალნი 1200 წ. ქრისტეს დაბადების წინად. ევროპაში შემოსულა ყვავილი მეექვსე საუკუნეში ქრისტეს შემდეგ და შემოუტანიათ არაბებს, რომელთაც, უმეგვლია, სწევითა იგი ეგვიპტეში, ან აბაშეთშიადაც პირველად იგი გაჩენილა საღარაგეთში 580 წ. ამ წლიდან მოსდებია მთელს ევროპას; ფეხი მოუკიდებია და დღესაც ხომ არის და არის. მეშვიდმეტე და მეთვრამეტე საუკუნეში ყვავილი სწორედ ღვთის რისხვად გადაექცევროპას და ბევრი ხალხი შეიწირა. ლუდლავიკე XIV პირდაპირნი შთამომავალნი სულ ამ სენმა გაუღიტა. ერთი ზუთის წლის ბაშეი-და გადარჩა, რომელიც მეჩრე ლუდლავიკე XV-ად შეიქმნა და 1774 წ. ისევე ყვავილმა თან გადაიტანა. საცა პირველად სწევია ეს სენი, ყველგან მუსრი გაუვლია. მექსიკაში პირველად რომ გაჩენილა, სამილიონ ნახევარი სული დაუხოცია. მკვიდრნი ჩრდილო და სამხრეთ ამერიკისანი (ზანგები) ამ სენს უფრო მეტი გაუშლეს, ვიდრე ისხანელთა მუცელისაგან, ინგლისელების სრვას და არაყსა.

ქუთურში გაჩენილა ევროპაში, როგორც ჰფიქრობენ, ყვავილთან ერთსა და იმავე დროს. იგი აწერილია არაბთა მუხრანლთაგან. პირველში არ ურჩევიათ თურმე ქუთურში და წითელა ერთმანეთისაგან. მარტო მეშვიდმეტე საუკუნეში ამ სენისთვის თავისი ადგილი მიუზღოთათ. ეს სენი შესაყარია და გადამდები. არსად არ შეუნიშნავთ, რომ თავის თავად სადმე გაჩენილიყოს. ყოველს ადგილს ვისგანმე შემოტანილი ყოფილა, თავისს თავად გადასულა და გამქრალა, ვიდრე ხელახლად არ შეუტანიათ ამის საბუთად მოჰყავთ ისლანდია და ჭყერის კუნძულები, რომელნიც ზღვებით არიან ძალიან განშორებულნი ხმელეთისაგან და იქიდან მისვლა-მოსვლა ხმელეთთან ძალიან იშვიათია. ამ მხრით მეტად ღირსსაქნობია ჭყერის კუნძულები. აქ ქუთურში გაჩენილა პირველად 1847 წ. 65 წლის განმავლობაში ქუთურში იქ არ ყოფილიყო და როცა ხმელეთიდან იგი შეუტანიათ სულ და ჯან-მრთელ მკვიდრთა შორის ისე მოკიდებულა, რომ სწორედ მუსრი გაუვლია. არავინ არ დაუზოგავს არც დიდი, არც პატარა, 65 წლის მოხუცი-კი ავად ხდებოდნენ ქუთურშით. სულ მცხოვრებნი ამ კუნძულებზე 7782 ყოფილა და ამათგან 6,000 კაცი ავად განზღარა, ზოგი გადარჩენილა და ზოგი თან წაუღია. აქედამ აშკარაა, რომ ხანი ადამიანს არ იხსნის ამ სენისაგან და თუ ჩვენში ხანში შესული არა ჰხდება ამით ავად, ეგ იმიტომ-რომ, თავისს დროზე იხდის ხოლმე. დანიის მკურნალი პანუმი, რომელიც ამ სენის ვითარებას ითიებდა ჭყარის კუნძულებზე და ფეხ-და-ფეხ თვალს ადევნებდა, ამბობს, რომ აქ ერთი არ განზღარა ქუთურშით ავად უიმისოდ, რომ სწეული არ მიჰკარებოდესო. საკმაო იყავო, სახლი მორადებული ყოფილიყო და სასლობაში არავინ არ განზღებოდა ხოლმე ავად.

წითელა, როგორც ამტკიცებენ, წმინდა ევროპის სენია თურმე და განსაკურებით ინგლისისა. იგი მეტად მძინვარებს ლონდონში, ყოველ წელსწინა შეიწირავს თურმე ორასიდან ექვსი-ათას ბაშეამდე. მაშინ, როდესაც პარისში იმავე დროს ამ სენით ასზე მეტი არა კვდება. (გ. ი. ლ.)

თიბარის მახიანი.

წარსულს ოთხშაბათს ქართულმა დასმა ბ-ნ სვიმონიძის საბუნებისმეტყველო წარმომადგენელ ფრანგულიდან ნათარგმნი მელოდრამა „გადარცული ფო-

